ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №8080320

ნომერი: AR11159831

თარიღი : 08.09.2026

გაცემის თარიღი : 15.09.2026

გაცნობის თარიღი : 15.09.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბოხუა პ/ნ 01006001519
- თბილისი დიღმის მას. II კვ. კორ. 19 ბ. 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 08 სექტემბერს №AR11159831 განცხადებით მომართა ზაზა ბოხუამ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 30 ივლისის №8027191 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 30 ივლისის №8027191 ბრძანებით №01.72.14.014.049 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2026 წლის 11 აგვისტოს №8039109 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2026 წლის 30 ივლისის №8027191 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე დაფიქსირდა 42 ღია ავტოსადგომი, საერთო ფართობით: 603.75 კვ/მ.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 30 ივლისის №8027191 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკური სართულის გეგმაზე გამორჩენილი იქნა სავენტილაციო დანადგარების განთავსების ადგილების მონიშვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს წარმოდგენილი ტექნიკური სართულის გეგმის ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილ ტექნიკური სართულის გეგმაზე შეთანხმებულთან მიმართებით დამატებულია სავენტილაციო დანადგარების განთავსების ადგილები, აღნიშნული კი წინამდებარე ნომენკლატურის „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში“ ფარგლებში ვერ განხორციელდება და საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ არსებობს სამსახურის 2026 წლის 30 ივლისის №8027191 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივი საფუძველი, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

---